

ვალდებულების დარღვევისას მხარეთა მოთხოვნის უზრუნველყოფის
დამატებითი საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და
PECL-ის მიხედვით - შედარებით სამართლებრივი ანალიზი

სოფია კვიკვინია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფია კვიკვიია _____ 15.06.2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში შედარებით სამართლებრივი კვლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და PECL-ის მიხედვით.

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობაში ვალდებულების დარღვევისაგან თავის დასაცავად და ერთგვარი პრევენციისათვის, აუცილებელია ურთიერთობაში ჩაბმულ თითოეულ მხარეს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ მათი მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებზე და ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ სავარაუდო შედეგებზე. აქედან გამომდინარე აუცილებელია თითოეული მხარისთვის მკაფიოდ განსაზღვრული იყოს, თუ რომელი დამატებითი საშუალებებით შეუძლია მოთხოვნის უზრუნველყოფა.

სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის საფუძველზე, შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაშრომში გამოკვლეულ იქნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და PECL-ი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სტილისტური ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ PECL-ი საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით ხაზს უსვამს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გონივრული ეჭვის არსებობა იმისთვის, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება იქნას გამოყენებულ და ასევე ის ფაქტი, რომ მისი გამოყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი. ამასთანავე უზრუნველყოფის ოდენობა უნდა იყოს ადეკვატური. ამრიგად, ჩატარებულ შედარებით სამართლებრივი კვლევის საშუალებით, შესაძლებელია დავფიქრდეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებისადმი მიძღვნილ თავში გარკვეული ცვლილებების შეტანაზე.

ABSTRACT

This thesis refers to the issues regarding to the additional facilities of providing the demand, namely, the aim of the thesis represents the legal research toward the above mentioned issue according to Georgian Civil Code and PECL.

It is necessary that each party involved in the legal relations should hold information regarding to the additional facilities of ensuring their demands and presumptive results caused from non-fulfillment of the obligations for avoiding the violation of the obligations in the civil law relations and for sort of prevention.

Accordingly, on the basis of working on the above mentioned thesis, we can make the important conclusions regarding to the legal institution of additional facilities of providing the demand, namely, in the thesis was researched that Georgian Civil Code and PECL are completely different from each other, as stylistic as the contextual aspect. Should be mentioned that PECL, unlikely to Georgian Civil Code underlines the issues, such as the existence of reasonable doubt for that the additional facilities of providing the demand should be used and also the fact that it can be used at any stage of contractual relations, beside that the amount of providing should be adequate. Therefore, by means of conducted comparative legal research, we can think about making some amendments to the chapter about additional facilities of providing the demand of Georgian Civil Code.